შემსყიდველი ორგანიზაციების საყურადღებოდ!

2018 წლის 26 ნოემბერის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ სისტემურ შეტყობინებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №446 დადგენილების დანართით განსაზღვრულ საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას, დამატებით გაცნობებთ შემდეგს:

1. ქვემოთ ჩამოთვლილ კლასიფიკატორის კოდებში მოქცეული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა 2019 წლის პირველი ივლისიდან განახორციელოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმებით.

41100000 – ბუნებრივი წყალი

55300000 – რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურებები

55500000 – სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება

18100000 – სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები

18200000 – გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი

18300000 – ტანსაცმელი

18400000 – სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები

18800000 – ფეხსაცმელი

35800000 – ინდივიდუალური და დამხმარე მოწყობილობები (უნიფორმები)

39500000 – ქსოვილის ნივთები

30100000 – საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა **(გარდა A4 ფორმატის უმაღლესი და პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდისა, რომელთა შესყდვის მიზნითაც უკვე ჩატარებულია კონსოლიდირებული ტენდერები)**

39100000 – ავეჯი

39200000 – ავეჯის აქსესუარები

2. იმ კლასიფიკატორის კოდებში მოქცეული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისთვის, რომლებზეც უკვე ჩატარებულია კონსოლიდირებული ტენდერები და გესაჭიროებათ კონსოლიდირებული ტენდერებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი, ხელშეკრულების გაფორმების მიზნით მიმართეთ გამარჯვებულ მიმწოდებელს, ხოლო თუ იგი უარს განაცხადებს ხელშეკრულების გაფორმებაზე, შესყიდვა უნდა განახორციელდეს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმების შემდგომ.

3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან წინასწარი შეათანხმება შეგიძლიათ განახორციელოთ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით - con@spa.gov.ge.